

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია - ტექნიკური დავალება

ქალაქ ზუგდიდში, ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (UEFA) სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილება (მოდიფიკაცია/ადაპტაცია)

1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: 2015 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ, ქალაქ ზუგდიდში, საფეხბურთო სტადიონის ასაშენებლად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდიფიკაცია, რაც გულისხმობს, ზემოთხსენებულ ქალაქში, ჯანაშიას ქუჩის N5-ში მდებარე საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდერნიზაციას/ადაპტაციას, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

1.2. ტექნიკური დავალება

1.2.1. მომსახურების მიზანი და პირობები

მომსახურების მიზანს წარმოადგენს, ქალაქ ზუგდიდში, მშენებარე საფეხბურთო სპორტული კომპლექსისთვის, ახალი თანამედროვე სტანდარტების და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდერნიზაცია და ადაპტაცია, რომელიც მოგვცემს საშუალებას ქალაქ ზუგდიდში მოხდეს საფეხბურთო სპორტული კომპლექსის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა, ხოლო შემდგომში აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები.

წინამდებარე დავალება განსაზღვრავს, მომსახურების პირობებს, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდერნიზაციისთვის, კონკრეტულ ლოკაციაზე, ქალაქი ზუგდიდი ჯანაშიას ქუჩა N5 ში მდებარე 54271 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 43.31.61.203 დაუსრულებელი მშენებლობის პროცესში აშენებული მოცულობების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია მაქსიმალურად დაეყრდნოს ზუგდიდის სტადიონის მშენებლობის არსებულ პროექტს, ასევე გაითვალისწინოს ლევან სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს მიერ მოწოდებული დასკვნა. ჩაატაროს განხორციელებული მშენებლობის დროს მოწყობილი ნაგებობების დამატებითი კვლევები და მოამზადოს აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული პროექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნებთან და იქნება ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

1.2.2. დასაპროექტებელი ობიექტის მოკლე აღწერა და საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტადიონის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე, სტადიონზე არსებული ფაქტიური მდგომარეობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთ მოცემული ჩამონათვალით .

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი გათვლილია არაუმეტეს 7500 მაყურებელზე. არსებული მდგომარეობით აშენებულია ცენტრალური სტადიონის ოთხივე ტრიბუნა, დამონტაჟებულია სკამები, ცენტრალური (დასავლეთი) ტრიბუნის ქვეშ მოწყობილია გასახდელები, მსაჯების ოთახები, სველი წერტილები და ა.შ.

ტერიტორიაზე მოსაწყობია დამხმარე შენობა-ნაგებობები სალაროებისთვის, სასურველია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ მხარეს.

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სტადიონის ადაპტირება შ.შ.მ პირებისთვის.

სათადარიგო სტადიონი გათვლილი უნდა იყოს არაუმეტეს 1200 მაყურებელზე, დღეის მდგომარეობით მოწყობილია ტრიბუნის საძირკველი. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონის დეტალური პროექტი. სასურველია ახალი ტრიბუნა მოწყობილ იქნას არსებულ საძირკველზე.

წინამდებარე საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში დაგეგმილია ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N5-ში მიწის ნაკვეთზე ს/კ 43.31.61.203 მშენებარე საფეხბურთო სტადიონის დასრულების და ახლი სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობისთვის საჭირო შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოდიფიკაცია და ადაპტაცია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც ძირითადად მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მოცულობებით:

ცენტრალური და სათადარიგო სტადიონებისთვის:

1. ბუნებრივი და ხელოვნური საფარის მოწყობა;
2. ტრიბუნებისა და სივრცეების მოწყობა და ადაპტაცია;
3. სადრენაჟე სისტემის მოწყობა;
4. შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციის მოწყობა;
5. ბუნებრივი და ხელოვნური საფარის მოწყობა;
6. ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

1.2.3.. გასაწევი მომსახურების ეტაპები, ძირითადი მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

გასაწევი მომსახურება შედგება შემდეგი 3 (სამი) ეტაპისაგან:

- **I ეტაპი - საპროექტო ტერიტორიის კვლევა: ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;**
- **II ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;**
- **III ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა**

I ეტაპი

მომსახურების I ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს - სამიეზო კვლევითი სამუშაოების წარმოება და ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ობიექტების პირველადი მონახულება, უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. ინფორმაციის მოსაპოვებლად. სასურველია სამუშაო პროცესში ჩართული იყოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური.

მომსახურების I ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპო გეგმაზე დატანილი იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდების მითითებით);
- ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება;
- განხორციელებული მშენებლობის არქიტექტურული ანაზომები;
- ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური კვლევის შედეგები;
- ცალსახად დადებითი დასკვნა ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შესახებ;
- ინფორმაცია არსებული კომუნიკაციების თაობაზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა და დასკვნა კონსტრუქციულ მდგრადობაზე;
- პროექტის კონცეფცია - სარეაბილიტაციო ობიექტების დაზუსტებული პარამეტრებით, ზოგადი კონსტრუქციული და ზოგადი არქიტექტურული გადაწყვეტები;
- განაშენიანების რეგულირების დადგენილი პარამეტრები, ნებართვის გამცემი შესაბამისი უწყებიდან;
- თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი;

I ეტაპის შესაბამისი ანგარიშების, სამშენებლო-სარეაბილიტაციო მეთოდისა და კონცეფციის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველი დააზუსტებს პროექტის პარამეტრებს, მასშტაბებსა და სავარაუდო გადაწყვეტებს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მომსახურების შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად. პირველადი შესწავლის შემდეგ შესაძლებელია შემსყიდველის მიერ მიღებული იყოს გადაწყვეტილება საკონსულტაციო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.

ესკიზური საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- სატიტულო ფურცელი;
- განმარტებითი ბარათი;
- საპროექტო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები;
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით;
- საკადასტრო რუქა (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (არსებობის შემთხვევაში);
- ალტერნატიული საექსპერტო დასკვნა ჩატარებული ზოგადი გეოლოგიური კვლევის შედეგებზე;
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000);
- არქიტექტურული ნაწილი - გეგმები, ჭრილები, ფასადები, განშლები; ვერტიკალური გეგმარება;
- ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- მცირე არქიტექტურული ფორმები (საჭიროების შესაბამისად);
- ესკიზური დენდროლოგიური პროექტი;
- ესკიზური არქიტექტურული პროექტი;
- არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- რენდერები და ფოტომონტაჟი;

ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის პირველადი განხილვა, ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების მიღებამდე, უნდა მოხდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და ბენეფიციარის შესაბამის თანამშრომლებთან კონსულტაციების შემდგომ.

I ეტაპით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის საჯარო განხილვას დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, ორგანიზებას გაუწევს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“.

II ეტაპი

მომსახურების II ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- განმარტებითი ბარათი
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000)
- არქიტექტურული ნაწილი, ნახაზები - გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, (მ 1:100; 1:500; 1:1000;)
- მოსაპირკეთებელი, კეთილმოწყობის სამუშაოების უწყისები, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამოსაყენებელი მასალების სრული სპეციფიკაციები; იატაკების, ჭერების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;
- არქიტექტურული მცირე ფორმების დეტალური ნახაზები - ჩამოსაჯდომი სკამი, საჩრდილობელი, დეკორატიული ელექტრო ბოძი, წყლის სოკო და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);

- საინჟინრო ნაწილი: - ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, სანიაღვრე, გათბობა, გაგრილება, ვენტილაცია, გახმოვანება, ხანძარქრობა, სუსტი დენები. (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);
- დემონტაჟის პროექტი (გეგმები, ფასადები, სპეციფიკაცია, გრაფიკი);
- დენდროლოგიური პროექტი;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული და სავარაუდო ფინანსური გრაფიკი;
- ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების უწყისები და ხარჯთაღრიცხვა - რესურსული და გამსხვილებული ვერსიები;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრა შესაბამისი უწყებებიდან ტექნიკური პირობების მისაღებად (საჭიროების შესაბამისად);
- ეკონომიკური ანალიზი (უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალურ ხარჯებს და ასევე საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიურ ხარჯებს. აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა შესაძლო ალტერნატივისთვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.
- კონსტრუქციული პროექტი;
- ცალსახად დადებითი, ალტერნატიული დასკვნა კონსტრუქციული პროექტზე, მომზადებული ავტორიზებული/აკრედიტირებული ექსპერტის ან/და ექსპერტიზის ბიუროს მიერ.

II ეტაპით გათვალისწინებული დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის უწყებასთან.

საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები.

სატენდერო ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

III ეტაპი

მომსახურების III ეტაპის ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა, სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხელშეკრულების სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში. სამშენებლო სამუშაოების მაღალი ხარისხისა და პროექტთან შესაბამისობის მიზნით, შემსრულებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას აწარმოოს საზედამხედველო სამუშაოები, შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს საზედამხედველო სამუშაოების შუალედური ანგარიში და სამშენებლო სამუშაოების დასრულებისას მიიღოს შესაბამისი ზომები საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, საჭიროების შემთხვევაში მომზადოს სამშენებლო ნახაზები.

1.2.4. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

1.3. ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად და შემსყიდველთან საბოლოო სახით წარდგენილი უნდა იყოს როგორც რესურსული ასევე სატენდერო ფორმატის სახით.

1.4. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი

1.4.1. მოსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

1.4.2. მომსახურების I ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად ბეჭდური ვერსიით მყარი ასლის სახით, წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატებში).

1.4.3. საბოლოო დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში ((ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD, PLN და PDF ფორმატში) კომპაქტური დისკებით (CD ან DVD). სახით.), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4 და A3 ფორმატში) სახით. საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ობიექტისთვის ინდივიდუალურ არქიტექტურულ ალბომად, ქართულ ენაზე 6 (ექვს) ეგზემპლარად.

1.4.4. მომსახურების ყველა ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.